

ნათია ზვიადაძე, ეკატერინე ქურდაძე, ნინო დემეტრაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Natia.zviadadze@atsu.edu.ge; ekaterine.kurdadze@atsu.edu.ge; nino.demetradze@atsu.edu.ge
<https://doi.org/10.52340/lac.2023.08.34>

ინგლისური ენის გრამატიკის ოთხგანზომილებიანი მოდელი


შესავალი. ენა სოციალური ფენომენია და ბუნებრივია, სოციალური ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ენის თანამედროვე მდგომარეობაზე ისევე როგორც ენის, მათ შორის უცხოური ენის, სწავლებისადმი მიდგომებზე. ასევე ცვალებადი ტენდენციით ხასიათდება უცხოური ენის გრამატიკის სწავლების მეთოდები, რომლებიც განვითარების შესაბამისად ახალ პრიორიტეტებს ამკვიდრებს. დღესაც უცხოური ენის გრამატიკის სწავლებასთან დაკავშირებით არაერთგვაროვან მოსაზრებებს ვხვდებით თუმცა ყველა თანხმდება, რომ გრამატიკის შესწავლას არსებითად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ზეპირი თუ წერიტი კომუნიკაციისთვის საჭირო აკადემიური უნარების ჩამოყალიბებისა და განვითარების კუთხით. ამ თვალსაზრისით, ცხადია, უცხოური ენის გრამატიკის სწავლება კიდევ უფრო მეტ დატვირთვას იძენს შემსწავლელის განსხვავებული ენობრივი-კულტურული მემკვიდრეობის გამო. ინგლისური ენა, მიუხედავად მისი ათვისების ხელმისაწვდომობისა თანამედროვე საინფორმაციო-კომუნიკაციური საშუალებების და გლობალიზაციის პირობებში, გამონაკლისს არ წარმოადგენს. შეიძლება ითქვას პირიქით, ფართო გავრცელების გამო კიდევ უფრო მეტია „ნორმის“ დარღვევები, რაც ხელს უშლის სწორი ენობრივი აკადემიური უნარების განვითარებას შესაბამისი სასწავლო გარემოს მიღმა.

ლიტერატურის მიმოხილვა. თანამედროვე ლიტერატურაში გრამატიკის განმარტების არაერთგვაროვან ინტერპრეტაციას ვხვდებით, რაც თავისთავად განსხვავებული თეორიების საფუძველზე ჩამოყალიბდა. ტრადიციულად განარჩევენ „ფორმალურ“ და „ფუნქციონალურ“ მიდგომებს გრამატიკისადმი. პირველი მიდგომის მიხედვით, გრამატიკა წესების ნაკრებია, რომელთა დაცვა და დარღვევა განაპირობებს „სწორი“ და „მცდარი“ წინადადების წარმოებას. მთავარი აქცენტი ამ შემთხვევაში კეთდება გრამატიკული სტრუქტურის ფორმებზე და მათ ურთიერთქმედებაზე და არა მნიშვნელობასა და მათ სხვადასხვა კონტექსტში გამოყენებაზე. მეორე მიდგომის მიხედვით, ენა საკომუნიკაციო სისტემაა და შესაბამისად, მთავარი დატვირთვა ენიჭება მნიშვნელობის გაცვლაზე ორიენტირებულ კომუნიკაციას, კონკრეტული გრამატიკული ფორმის შესაბამისი საკომუნიკაციო მიზნით გამოყენებას ამა თუ იმ კონტექსტში. (Lock 1996) ეს ორი მიდგომა ცხადია, ურთიერთგამომრიცხავი არ არის თუმცა აღნიშნული აქცენტები სწავლების განსხვავებულ პრაქტიკას აყალიბებს. გამოყენებითი ლინკვისტიკის თანამედროვე სახელმძღვანელოებში ამ ორი მიდგომის შინაარსობრივად მსგავს მაგრამ განსხვავებულ სახელდებას ვხვდებით. კერძოდ, „პრესკრიპციული“ და „დესკრიფციული“ გრამატიკა, რომელთაგან პირველი გვასწავლის თუ როგორ უნდა ვისაუბროთ და განიხილავს ე. წ. „სტანდარტულ და არასტანდარტულ“ ვარიაციებს. ხოლო მეორე აღწერს თუ რეალურად როგორ საუბრობენ მშობლიურ ენაზე და არა თუ როგორ უნდა ისაუბრონ ყოველგვარი „რეცეპტის გამოწერის“ გარეშე. აღნიშნული მიდგომა ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ სწორად-ფორმირებული სტრუქტურები წარმოადგენს ენის არაცნობიერ ცოდნას ანუ „მენტალურ გრამატიკას“. მოცემული მიდგომა უფრო ნეიტრალურია და მცდარ

და სწორ ვარიანტებს განიხილავს როგორც „გრამატიკულ“ და „არაგრამატიკულ“ ენობრივ ნიმუშებს. (Schmidt, Rogers 2020)

მეორე ან უცხოური ენის სწავლების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია განვიხილოთ „პედაგოგიური გრამატიკის“ პრინციპები. მიუხედავად იმისა, რომ მეორე ან უცხოური ენის გრამატიკის სწავლება გარკვეულწილად გულისხმობს „ფორმალური“, „პრესკრიპციული“, წესებზე ორიენტირებული სტანდარტული ვარიაციების წარდგენას, „პედაგოგიური გრამატიკა“ თავისი არსით მაინც მეტად დესკრიპციულ მიდგომას ეფუძნება თავისი ეკლექტიკური შინაარსით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიდგომით, გრამატიკა არის ლექსიკო-გრამატიკულ ნიმუშთა სისტემა, რომლსაც ვიყენებთ მნიშვნელობის გადმოსაცემად შესაბამისი ფორმით. გრამატიკის მოცემულ განმარტებას ასახავს „გრამატიკის სამგანზომილებიანი მოდელი“, რომლის გამოყენებით შემსწავლელებს საშუალება ეძლევათ კომუნიკაცია დაამყარონ შესასწავლ ენაზე სწორი ფორმით, გააზრებული მნიშვნელობით და კონტექსტის შესაბამისად.

წარმოდგენილი მოდელი გულისხმობს, რომ ნებისმიერი გრამატიკული კონსტრუქცია სამი განზომილებით განიხილება: 1)სტრუქტურა ანუ ფორმა; 2)სემანტიკა ანუ მნიშვნელობა; 3)გამოყენება ანუ პრაგმატიკული პირობები, რომლებიც განაპირობებს გრამატიკული კონსტრუქციის შესაბამის გამოყენებას. **სტრუქტურული ნაწილი** გულისხმობს ლექსიკო-გრამატიკულ ნიმუშებს და მორფო-სინტაქსურ ფორმებს, რომელთა მიხედვით იგება გრამატიკული კონსტრუქციები და ხდება კონსტრუქციების ურთიერთდაკავშირება წინადადებაში ან ტექსტში. **სემანტიკური ნაწილი** განიხილავს კონსტრუქციის ლექსიკო-გრამატიკულ მნიშვნელობას. **პრაგმატიკული ნაწილი** ეხება „ენის კონტექსტუალურ გამოყენებას“. კონტექსტი შესაძლოა იყოს სოციალური დისკურსიდან ან ლინგვისტური დისკურსის თანა-ტექსტიდან. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ სამი განზომილება მკვეთრად გამიჯნული არ არის და ერთმანეთთან კავშირშია, ამ სამი პერსპექტივით გრამატიკის გააზრება სწავლებას მეტად ეფექტურს და შედეგზე ორიენტირებულს ხდის. (Celce-Murcia, Brinton, Snow 2014).



სქემა 1.2 გრამატიკის სამგანზომილებიანი მოდელი

თანამედროვე „პოსტ მეთოდურ“ ეპოქაში უცხოური ენის სწავლების უამრავი უკვე კარგად ნაცადი მეთოდი არსებობს თავიანთი უპირატესობებით თუ ნაკლოვანი მხარეებით. შესაბამისად, არჩევანი ვფიქრობთ, კონკრეტული კონტექსტის შესაბამისად უნდა გაკეთდეს, რადგან ვერც ერთი მიდგომა და მეთოდი ვერ იქნება სრულყოფილი საგანმანათლებლო კონტექსტის გათვალისწინების გარეშე. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია განსხვავებული ენობრივ-კულტურული კონტექსტი, სადაც მეორე ან უცხოური ენის სწავლება მიმდინარეობს. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ერთენოვან აუდიტორიასთან მუშაობის დროს მშობლიური ენის ინტერფერენციის გათვალისწინება კიდევ უფრო ეფექტურს და კონტექსტზე მორგებულს გახდის ინგლისური ენის გრამატიკის სწავლებას.


გრამატიკის სწავლების ოთხგანზომილებიანი მოდელი

უცხოური ენის სწავლების დროს მშობლიური ენის დამხმარე როლზე განსხვავებული მოსაზრებებია. ჩვენი ინტერესის ობიექტს ამ შემთხვევაში არ წარმოადგენს შესასწავლი ენის როგორც კომუნიკაციური მედიუმის განხილვა დედა ენასთან მიმართებაში, არამედ ინგლისური ენის გრამატიკის სწავლების დროს ერთენოვან აუდიტორიასთან მშობლიური ენის გრამატიკის გავლენის გათვალისწინების შესწავლა.

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ საგულისხმო მოსაზრებები არსებობს მშობლიური ენის უგულვებლყოფის მხარდასაჭერად უცხო ენის კლასში, შემსწავლელთა ენობრივ-კულტურულ მემკვიდრეობას გვერდს ვერ ავუვლით. ცხადია, გასაზიარებელია მშობლიურ ენაზე საუბრის შეზღუდვები ინგლისური ენის გაკვეთილზე შესასწავლ ენაზე კომუნიკაციის გაძლიერების მიზნით. ასევე, შესაძლოა ნაკლებად წინააღმდეგობრივი იყოს კლასში შესასწავლი ენის მაქსიმალურად გამოყენების სხვა მიზეზები. თუმცა მშობლიური ენის გავლენის სრულიად გამორიცხვა უცხოური ენის შესწავლის პროცესში არაკანონზომიერად მიგვაჩნია. ჩვენი იდენტობა მნიშვნელოვანწილად ყალიბდება იმ ენობრივწიაღში, რომელსაც ბავშვობაში შევისწავლით, რაც განაპირობებს ჩვენს მსოფლმხედველობას და სამყაროს ჩვენეულ აღქმას. „ახალ ლინგვისტურ (და კონცეპტუალურ) სამყაროს მნიშვნელობას ვძენთ იმ ლინგვისტური სამყაროს საშუალებით, რომელსაც უკვე ვიცნობთ. ეს ბუნებრივი პროცესია... ამავდროულად, მიუხედავად ერთენოვან თუ ორენოვან გარემოში აღზრდისა, დიდია იმის ალბათობა, რომ შემსწავლელები, განსაკუთრებით ინტერნეტის მოხმარების დროს ერთზე მეტ ენაზე ოპერირებენ. ასეა სამყარო მოწყობილი...ეს საკმარისი მიზეზებია იმისთვის სულ მცირე ვადიაროთ დედა ენის როლი მეორე ენის შესწავლის პროცესში.“ (Harmer 2013)

ვიზიარებთ რა აღნიშნულ მოსაზრებას ვთვლით, რომ ინგლისური ენის გრამატიკის სწავლებას, სხვადასხვა გრამატიკული კონსტრუქციის კონცეპტუალურ გააზრებაზე დადებით გავლენას ახდენს მშობლიური ენის დამატებით რესურსად გამოყენება და კონკრეტულ გრამატიკულ საკითხებთან მიმართებაში მსგავსება-განსხვავებების გარკვეული დოზით განხილვა. მით უფრო, რომ მშობლიური ენა როგორც რესურსი შესაძლოა დამხმარე კატეგორიის იყოს მეორე ან უცხოური ენის სწავლების პროცესში თუმცა იგი წარმოადგენს ცენტრალურ ბირთვს ნებისმიერი ენობრივი მოვლენის გააზრების კუთხით. შესაბამისად, ზემოთგანხილული მოსაზრებების ინსპირაციით და ერთენოვან ჯგუფებთან მუშაობის საკუთარი გამოცდილების საფუძველზე შესასწავლად წარმოვადგინეთ „გრამატიკის სამგანზომილებიანი მოდელის ჩვენეული ინტერპრეტაცია“, რომელსაც ჯერჯერობით მხოლოდ ჰიპოთეტურ ჭრილში მცირემასშტაბიანი კვლევის ფარგლებში განვიხილავთ. მოდელის სამ განზომილებას (ფორმა, მნიშვნელობა, გამოყენება) დაემატა მეოთხე

განზომილება - „მშობლიური ენის ინტერფერენცია“ ბირთვის სახით. შედეგად, მივიღეთ „ოთხგანზომილებიანი მოდელი“ მოდელზე გამოსახული ორმხრივი ისრები მოცემულ სამ განზომილებას შორის ურთიერთკავშირზე მიუთითებს. ხოლო, ბირთვიდან გამომავალი ისრები მშობლიური ენის გავლენას ასახავს მოდელის თითოეულ ნაწილზე.



სქემა 1.2 გრამატიკის ოთხგანზომილებიანი მოდელი

იმის გათვალისწინებით, რომ შემსწავლელი ნებისმიერი გრამატიკული კონსტრუქციის ფორმირებას, მნიშვნელობის გააზრებას თუ მის კონტექსტუალურად სწორად გამოყენებას მშობლიური ენის ბაღეში ატარებს და მხოლოდ ამ გზით შეიმეცნებს, შემოთავაზებული მოდელი უცხოური ენის გრამატიკის სწავლების პროცესს ერთენოვან აუდიტორიასთან მუშაობის დროს გაცილებით ეფექტურს და ნაყოფიერს გახდის. მოდელი ასევე შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ მრავალენოვან ჯგუფებში ენობრივად არასპეციფიკური ნეიტრალური დავალებების შეთავაზებით, რაც შემსწავლელებს თავიანთ მშობლიურ ენასთან პარალელის გავლების შესაძლებლობას მისცემთ. თუმცა, ამ შემთხვევაში, მოსწავლეთა უკუკავშირი განსხვავებული ენობრივი მემკვიდრეობის მქონე მასწავლებლის და შემსწავლებლების მხრიდან სათანადოდ გაზიარებული ვერ იქნება. მიუხედავად აღნიშნულისა ვფიქრობთ, მისი გამოყენება ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიერ საკითხის კოგნიტურ-კონცეპტუალურ აღქმას.

კითხვარის აღწერა-ანალიზი

საკითხის უკეთ შესწავლის და კვლევის შემდგომი ეტაპების დაგეგმვის მიზნით ჩავატარეთ მცირემასშტაბიანი გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აკაკი წერეთლის სახლმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტისა და ენების შემსწავლელი ცენტრის 30 პროფესორ-მასწავლებელმა. კითხვარი ინგლისური ენის გრამატიკის სწავლების საკვანძო საკითხებს აერთიანებს, საკითხის აქტუალობის და შეთავაზებული მოდელის დანერგვის საჭიროების გადამოწმების საშუალებას იძლევა. კითხვარი ღია და დახურული ტიპის შეკითხვებს აერთიანებს და განსხვავებული პედაგოგიური გამოცდილების მქონე სპეციალისტების მოსაზრებებს წარმოგვიდგენს.


კითხვარის შექმნა და დაგზავნა 'Microsoft Forms' პლატფორმის საშუალებით განხორციელდა და სტატისტიკური ანალიზიც აღნიშნული პროგრამის დახმარებით მოგვეწოდა.

მოპოვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ადგილობრივი საგანმანათლებლო გამოცდილებით შემდგომი ტენდენციები გამოიკვეთა: კერძოდ, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს გრამატიკის ფუნქციური მიდგომით სწავლებას, რადგან ჯერ კიდევ დომინირებს ფორმაზე ორიენტირებული მეთოდების გამოყენება. შესაბამისად, ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში ჯერ კიდევ სათანადოდ დანერგილი არ არის „გრამატიკის სამგანზომილებიანი მოდელის“ გამოყენება. პედაგოგთა უმეტესობა ახალი გრამატიკული საკითხის წარდგენისას თანაბრად მიმართავს დედუქციურ და ინდუქციურ მეთოდებს. უმრავლესობა აღიარებს მშობლიური ენის ინტერფერენციის მნიშვნელოვან როლს ინგლისური ენის გრამატიკის სწავლა-სწავლების პროცესში. ასევე აღსანიშნავია, რომ პედაგოგები ხშირად იყენებენ მშობლიურ ენას როგორც რესურსს ინგლისური ენის გრამატიკული საკითხების წარდგენის ეტაპზე. გამოკითხულთა დიდი ნაწილი ადასტურებს მშობლიური ენის თანაზიარი ცოდნის გამოყენების უპირატესობას შესასწავლი ენის გრამატიკულ საკითხებზე მუშაობის დროს. აღსანიშნავია, რომ მცირე ნაწილი პედაგოგებისა არ მიიჩნევს მშობლიურ ენასთან კავშირს არსებითად, ხოლო - ნაწილი არ არის დარწმუნებული ამ მიდგომის საჭიროებაში.

ასევე საინტერესო უკუკავშირი მივიღეთ ღია შეკითხვებზე პასუხების სახით. მონაწილეთა უმრავლესობამ გაგვიზიარა ინგლისური ენის გრამატიკის სწავლების პროცესში მშობლიურ ენასთან შესაბამისი კავშირების გამოყენების გამოცდილება. როგორც აღმოჩნდა, საკმაოდ ხშირად იყენებენ აღნიშნულ მეთოდს შესასწავლი ენის სხვადასხვა გრამატიკული კონსტრუქციის თუ კატეგორიის წარდგენა-განმტკიცების ეტაპებზე. მათ შორის ქვემდებარე-შემასმენლის რიცხვსა და პირში შეთანხმება, ზმნის გვარისა და დროის კატეგორიები, პირობით დამოკიდებული წინადადებები, არსებითი სახელის მსაზღვრელები, წინადადების წყობა და სხვ.

დადებით გამოცდილებასთან ერთად ასევე აღინიშნა რამდენიმე საგულისხმო გარემოება მშობლიური ენის როგორც რესურსის გამოყენების კუთხით. ერთი კომენტარის თანახმად, ინგლისურენოვანი სიტუაციებით და მაგალითებით ახსნა უფრო მიზანშეწონილად არის მიჩნეული. აქვე უცვლელად ვცტირებთ ერთ-ერთ პედაგოგს, რომელიც აღნიშნული მიდგომის უპირატესობასთან ერთად გამოწვევებზეც ამახვილებს ყურადღებას: „ვცდილობ ნებისმიერი გრამატიკული საკითხი დაუკავშირო მშობლიური ენის გრამატიკას, რადგან, ვფიქრობ, შეპირისპირებით პლანში ენის შემსწავლელი გაცილებით უფრო სიღრმისეულად გაიაზრებს სამიზნე გრამატიკული კატეგორიის არსს. მეორე მხრივ, ეფექტურობის მიუხედავად, აღნიშნული სტრატეგიის განხორციელება დიდ გამოწვევას წარმოადგენს: ენის შემსწავლელთა საკმაოდ დიდი რაოდენობა ვერ ფლობს სრულყოფილად მშობლიური ენის რესურსს, რაც მთელ რიგ სირთულეებს წარმოქმნის ენობრივი მსგავსება-განსხვავებების გამოკვეთის მცდელობისას.“

კომენტარებში აღნიშნული შეზღუდვების მიუხედავად, გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა მხარს უჭერს გრამატიკის სწავლების შეთავაზებულ „ოთხგანზომილებიან მოდელს“ საკითხის აქტუალობა 5 ქულიანი შეფასებიდან 4.62 ქულიანი საშუალო რეიტინგით შეფასდა.



სქემა 1.3 საშუალო რეიტინგი: 4.62

დასკვნა. შესწავლილი

ლიტერატურის და ჩატარებული მცირემასშტაბიანი კვლევის საფუძველზე შესაძლოა დავასკვნათ, რომ მშობლიური ენის ინტერფერენციის გათვალისწინება ინგლისური ენის გრამატიკის სწავლა-სწავლების პროცესს გაცილებით ეფექტურს ხდის. მშობლიური და შესასწავლი ენის გრამატიკული კონსტრუქციების მსგავსება-განსხვავებების ხაზგასმა უცხოური ენის გრამატიკის საკითხების სამივე განზომილებით (მორფოსინტაქსი, სემანტიკა, პრაგმატიკა) ღრმად გააზრების საშუალებას იძლევა და შემსწავლელებს სირთულეების დაძლევის რაციონალურ და მარტივ გზას სთავაზობს. მიუხედავად გარკვეული გამოწვევებისა, კვლევის წინასწარი მონაცემები ცხადყოფს საკითხის მნიშვნელობას და აქტუალობას, რაც შედეგების განზოგადების მიზნით კვლევის შემდგომი ეტაპების დაგეგმვის საფუძველს იძლევა.

ლიტერატურა:

1. Celce-Murcia M., Brinton D. M., Snow M. A. (2014): Teaching English as a Second or Foreign Language. Fourth Edition. National Geographic Learning. Boston. USA.
2. Harmer J. (2013): The Practice of English Language Teaching. Fourth Edition. Pearson Education Limited. Essex. England.
3. Lock G. (1996) Functional English Grammar. An Introduction for second Language Teachers. Cambridge University Press. UK.
4. Schmidt N., Rogers M. P.H., (2020): An Introduction to Applied Linguistics. Third Edition. Routledge. New York. USA.

Zviadadze Natia, Kurdadze Ekaterine, Demetradze Nino
Akaki Tsereteli state University
Kutaisi, Georgia

Four-Dimensional Model of English Grammar

Abstract

The research presented in the paper is interdisciplinary in nature. The study object includes both key aspects of English grammar and modern approaches and trends in teaching grammar. The suggested ‘‘Four-dimensional model of teaching English grammar’’ is based on the ‘‘Three-dimensional model’’ of grammar teaching, which combines syntax, semantics and pragmatics, and is consistent with the methodological principles of communicative approach of the language teaching. The fourth dimension, which refers to the interference of the mother tongue, is interpreted in a new way when working in a monolingual group. Based on the data analysis, the effectiveness of the four-dimensional model of English language grammar is shown on the example of Georgian language learners. The conducted research approves further generalization not only in terms of teaching the grammar of English, but also other foreign languages.